

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2014 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნა 3
მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე..... 4

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება 5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება..... 7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 8

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია..... 9
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 15
4. სხვა შემოსავალი, წმინდა 16
5. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება, წმინდა..... 16
6. ხელფასები და ბონუსები..... 16
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 17
8. მოგების გადასახადის ხარჯი 17
9. ფული და ფულის ეკვივალენტები..... 18
10. კლიენტებზე გაცემული სესხები 18
11. საინვესტიციო ქონება..... 20
12. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 21
13. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი 22
14. მიღებული სესხები 23
15. სხვა ვალდებულებები 23
16. სააქციო კაპიტალი 23
17. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა 24
18. ოპერაციები დაკავშირებული მხარეებთან 28
19. ბალანსის შემდგომი მოვლენები 28

დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნა

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინანსებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინანსებს (შემდგომში ორგანიზაცია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობები

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვით მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან. ამის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანობაში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის გასაცემად.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინანსებს ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

10 აგვისტო 2015

თბილისი, საქართველო

ყვან ბიდიო

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და დამოუკიდებელ აუდიტორის პასუხისმგებლობები, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგროს (შემდგომში ორგანიზაცია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებს, ფულადი ნაკადის მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ზემოთაღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამორჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- განაცხადოს მოხდა თუ არა ფასს-ების მოთხოვნების დაცვა, ხოლო არსებითი დარღვევის შემთხვევაში განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საქმიანობის უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა ორგანიზაციაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს ორგანიზაციის ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების შესაბამისად;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- აღმოაჩინოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.


2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია მენეჯმენტის სახელით 2015 წლის 10 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



ა. ახალბედაშვილი

ფინანსური დირექტორი



ე. ნანოშვილი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინანგრო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის
(ლარებში)

		2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი	10	946,854	1,112,752
საპროცენტო ხარჯი		(56,199)	(61,433)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		890,655	1,051,319
ანარიცხები საექვო სესხებზე	10	(649,745)	(353,764)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საექვო სესხების ანარიცხების შემდეგ		240,910	697,555
სხვა შემოსავალი, წმინდა	4	12,107	77,277
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება, წმინდა	5	117,754	84,455
ხელფასები და ბონუსები	6	(465,253)	(550,064)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(233,799)	(252,229)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(328,281)	56,994
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(255,612)	(11,919)
წმინდა (ზარალი)/მოგება		(583,893)	45,075
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი		(583,893)	45,075


მენეჯმენტის მხრიდან ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



ა. ახალბედაშვილი

ფინანსური დირექტორი



ე. ნანოშვილი

9 - 28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინანგრო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარებში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2014	31 დეკემბერი 2013
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	677,394	712,726
კლიენტებზე გაცემული სესხები	10	3,477,578	3,899,909
საინვესტიციო ქონება	11	69,906	80,124
ძირითადი საშუალებები	12	117,782	145,559
არამატერიალური აქტივები	12	31,409	35,985
სხვა აქტივები		12,781	8,411
მიმდინარე მოგების გადასახადი		105,804	105,804
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	13	83,365	338,977
სულ აქტივები		4,576,019	5,327,495
კაპიტალი და ვალდებულებები			
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	2,014,282	2,233,595
სხვა ვალდებულებები	15	77,097	25,367
სულ ვალდებულებები		2,091,379	2,258,962
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	16	3,671,370	3,671,370
დაუფარავი ზარალი		(1,186,730)	(602,837)
სულ კაპიტალი		2,484,640	3,068,533
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,576,019	5,327,495


მენეჯმენტის მხრიდან ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



ა. ახალბედაშვილი

ფინანსური დირექტორი



ე. ნანოშვილი

9 - 28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის
(ლარებში)

	სააქციო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისათვის	3,671,370	(647,912)	3,023,458
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	45,075	45,075
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისათვის	3,671,370	(602,837)	3,068,533
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(583,893)	(583,893)
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისათვის	3,671,370	(1,186,730)	2,484,640


მენეჯმენტის მხრიდან ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



ა. ახალბედაშვილი

ფინანსური დირექტორი



ე. ნანოშვილი


9 - 28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინანსო
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის
 (ლარებში)

	შენიშვნა	2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან (ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(328,281)	56,994
კორექტირებები:			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	11,12	50,221	51,980
საპროცენტო შემოსავალი	10	(946,854)	(1,112,752)
საპროცენტო ხარჯი	14	56,199	61,433
საექვო სესხების ანარიცხების ხარჯი	10	649,745	353,764
საკურსო სხვაობით წარმოშობილი მოგება	5	(117,754)	(84,455)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება	4	(2,388)	(2,378)
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება	4	(10,271)	(26,550)
საოპერაციო საქმიანობიდან გასული ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		(649,383)	(701,964)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
გაცემული სესხების შემცირება		565,595	429,990
სხვა აქტივების (ზრდა)/შემცირება		(4,370)	13,696
სხვა ვალდებულებების ზრდა		34,961	17,269
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული პროცენტები		596,186	460,955
გადახდილი პროცენტები		418,696	807,982
		(58,594)	(66,788)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		306,905	500,185
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(25,036)	(17,677)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		10,368	4,690
საინვესტიციო ქონების შეძენა		(37,712)	(62,530)
საინვესტიციო ქონების გაყიდვა		57,389	56,000
ფულადი სახსრების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან		5,009	(19,517)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:			
სესხების მიღება		-	66,915
სესხების გადახდა		(344,756)	(392,867)
ფინანსური საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები		(344,756)	(325,952)
წმინდა ფულადი სახსრების (შემცირება) / ზრდა		(32,842)	154,716
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	9	712,726	558,530
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული ეფექტი	5	(2,490)	(520)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	9	677,394	712,726

მენეჯმენტის მხრიდან ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ა. ახალბედაშვილი

ფინანსური დირექტორი

ე. ნანოშვილი

9 - 28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო (შემდგომში ორგანიზაცია) დაფუძნებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის მიერ 2007 წლის 15 ნოემბერს. ორგანიზაციის სააქციო კაპიტალი შეადგენს 3,671,370 ლარს, ხოლო აქციების 100%-ის მფლობელია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი.

ორგანიზაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. თითოეული ფილიალის ყოველდღიური საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს მმართველი, რომელსაც ნიშნავს ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო გენერალური დირექტორის წარდგინებით.

ორგანიზაციის მიზანია, ხელი შეუწყოს და დააფინანსოს უპირატესად საქართველოს სასოფლო სამეურნეო სფეროში მოღვაწე ფერმერები, წვრილ და საშუალო მეწარმეები, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამამუშავების, რეალიზაციის, მომსახურებასა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში.

ორგანიზაციის მთავარი საქმიანობაა მიკრო სესხების გაცემა. ორგანიზაციის ფინანსური პროდუქტებია: ინდივიდუალური ბიზნეს-სესხები, აგრო ბიზნეს სესხები, სამომხმარებლო სესხები.

ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. გორი, მშვიდობის გამზირი №1 ა.

2014 წლის 31 დეკემბრისთვის ორგანიზაციას აქვს სათაო ოფისი (გორი) და სამი რეგიონალური ფილიალი (თელავი, წნორი, მარნეული). 2014 წლის ოქტომბერში ორგანიზაციამ შეაჩერა საოპერაციო საქმიანობა ზესტაფონში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ფასს-თან ერთად) მიხედვით (მიღებული ფასს), და შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ გამოშვებულ ფასს-თან.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ორგანიზაცია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ორგანიზაცია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ორგანიზაციის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტსა და აქციონერებს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ორგანიზაციისთვის.

ორგანიზაციის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

ახალი ფასს-ების მიღება

არც ერთ ახალი სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2014 წლის 1 იანვრიდან ან რომელიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2014 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშო წლისთვის, არ ჰქონია ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ოპერაციებში ორგანიზაცია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

	აშშ დოლარი
კურსი 2014 წლის 31 დეკემბრისათვის	1.8636
კურსი 2013 წლის 31 დეკემბრისათვის	1.7363

ფინანსური ინსტრუმენტები

შეფასების ძირითადი ტერმინები

ფინანსური ინსტრუმენტები მათი კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთაა აღწერილი:

რეალური ღირებულება განისაზღვრება როგორც ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი ოპერაციისას ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის. რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ღირებულება ფინანსური აქტივებისათვის ან მიმდინარე მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლებიც კოტირებულია აქტიურ ბაზრებზე. ფინანსური ინსტრუმენტი განიხილება როგორც აქტიურ ბაზარზე კოტირებული თუ კოტირებული ფასები შესაძლებელია ადვილად და რეგულარულად მივიღოთ გაცვლით ან სხვა გზით და წარმოადგენს ფაქტიურ ფასს რეგულარულად განხორციელებულ საბაზრო ოპერაციებზე გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

თვითღირებულება არის გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტი, ან უშუალოდ შეძენის მომენტისთვის აქტივის შესაძენად გაწეული სხვა დანახარჯის რეალური ღირებულება, რაც მოიცავს ოპერაციის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული ძირის გადახდები, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის აღნიშნულ ოდენობას აკლდება ასევე გაუფასურების ზარალი. დარიცხული პროცენტი მოიცავს ტრანზაქციის ღირებულების ამორტიზაციას, რომელიც გადავადებული იქნა თავდაპირველი აღიარებისას და სხვა ნებისმიერ ზედმეტ ან ნაკლებ გადასახადს ვადის შესაბამისად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის ცალე წარმოდგენილი და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის ღირებულებაში.

ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს დამატებით ხარჯებს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გაცემას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯია ისეთი ხარჯი, რომელიც არ იქნებოდა გაწეული თუ ტრანზაქცია არ განხორციელდებოდა. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს გასამრჯელოებსა და საკომისიოებს, რომლებსაც უხდებიან აგენტებს (მათ შორის თანამშრომლებს, რომლებიც მოქმედებენ როგორც გაყიდვების აგენტები), მრჩვეულებს, ბროკერებსა და დილერებს, მარეგულრებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟის მიერ დაწესებულ ბეგარას, სატრანსფერო გადასახდსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სესხის დისკონტსა თუ ფასნამატს, დაფინანსების ხარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ფინანსური აქტივები

ორგანიზაცია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

2. მნიშვნელოვანი საარიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ორგანიზაცია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შექმნასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის სესხები და მოთხოვნები მოიცავს გაცემულ სესხებსა და საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს 3 თვემდე დაფარვის ვადით. ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენება შეზღუდულია 3 თვეზე მეტი ვადის განმავლობაში, გამოირიცხება აღნიშნული აქტივების ჯგუფიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ორგანიზაცია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას, ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან
- იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) ორგანიზაცია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან

დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

2. მნიშვნელოვანი საღირებვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მიღებული სესხების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეჭებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აქტივი ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთის/ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. ცვეთის დარიცხვისას არ გაითვალისწინება აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ორგანიზაციის არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია კომპიუტერული პროგრამების სახით. ისინი აღირიცხება თვითღირებულების და აკუმულირებული ამორტიზაციის სხვაობის თანხით. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთის/ამორტიზაციის გაანგარიშებისთვის გამოყენებული სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	წელი
შენობა-ნაგებობები	10 - 30
კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	3 - 5
სატრანსპორტო საშუალებები	3 - 6
ავეჯი და ინვენტარი	3 - 5
არამატერიალური აქტივები	5 - 10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოხილვა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით.

საინვესტიციო ქონება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულების მოდელით რაც მოიცავს ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული ცვეთა.

საინვესტიციო ქონების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს.

კომპანიის საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია კლიენტებზე გაცემული ვადაგადაცილებული სესხების სანაცვლოდ დასაკუთრებული ქონებით. მათი საწყისი აღიარება ხდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით.

მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ვალდებულებების საბუღალტრო ბალანსის მიხედვით გაანგარიშების მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან. გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების გამოსაყენებლად. გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში (და იმ ოდენობით) როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში იარსებებს დასაბეგრი მოგება, რის ხარჯზეც მოხდება აღნიშნული აქტივის გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს რაც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავენ გაცემის საკომისიოს, რომელიც მიიღება ან გადაიხდებიან პირის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან დაკავშირებით ან ფინანსური ვალდებულების გამოცემასთან დაკავშირებით, მაგ. კრედიტუნარიანობის შეფასების საფასური,

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

2. მნიშვნელოვანი საღირებვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გარანტიების ან გირაოს შეფასება და გატარება, ინსტრუმენტის პირობების მოლაპარაკება და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავება. ორგანიზაციის მიერ მიღებული სესხის გაცემის ვალდებულების სანაცვლოდ მიღებული საკომისიო წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს თუ მოსალოდნელია, რომ ორგანიზაცია გააფორმებს კონკრეტულ საკრედიტო ურთიერთობას და არ ელის სესხის რეალიზებას მისი წარმოქმნიდან მოკლე პერიოდშივე. ორგანიზაცია არ განსაზღვრავს საკრედიტო ვალდებულებებს ფინანსურ ვალდებულებად რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით.

როდესაც სესხების და სხვა ვალის ინსტრუმენტების ამოღება საეჭვო ხდება, მათი ჩამოწრა ხდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე და საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მიმდინარე ღირებულების დისკონტის საფუძველზე აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის შესაფასებლად.

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები ზოგადად ტარდება დარიცხვის საფუძველზე კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებით, რომელიც ფასდება ფაქტიურად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

საოპერაციო იჯარა

ორგანიზაცია იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებს და შემოსავლებს ორგანიზაცია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწვევითანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ორგანიზაციამ დასაქმებულისგან.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

